

ვეტიდმსახურმა დავით მეფემ გააერთიანა ქვეყანა, განწმიდა ეკლესია, დააბრუნა გახიზნული ქართველები



1089 წელს გიორგი მეორემ უარი თქვა მეფობის პატივსა და სიმძიმეზე და თავის თექვსმეტი წლის „მარტოობიდან... დაადგა გვირგვინი მეფობისა“.

უპირველეს ყოვლისა დავით მეფემ დიდი თურქობის დროს გაქცეული და მიუვარ ადგილებში შეხიზნული ქართველების დაბრუნება დაიწყო ძვედნამოსახლარებზე, თავი მოუყარა აზნაურებს, და მათთან ერთად შეუდგა ერის შეკრებას.

ღვთივგანრძნობილმა მეფემ თავისი გონიერი მზერა ეკლესიას მიაპყრო. მან მოიწვია საეკლესიო კრება „ღვთისმოყუარეთა მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუღაბნეთა სანახებთა ქართლისათა, მახლობლად ორთა საეპისკოპოსოთა – რუისა და ურბნისისა“. კრებამ აღადგინა და გააძლიერა ეკლესიის ავტორიტეტი, აღკვეთა თავგასულ ფეოდალთა და უღირს სასურდერო პირთა თავნებობა. ეკლესია გახდა ძირითადი დასაყრდენი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეროვნული ინტერესების განხორციელების საქმეში. კრებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა მართლმადიდებლური სარწმუნოების სასიცოცხლო მნიშვნელობა ერისა და პიროვნების გადარჩენის საქმეში.

„არა გეცრუვნეთ შენ, სინმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არც განგცეთ შენ, სიქადურო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემედ ქმნიდ ვართ, ვინაიდგან შემეცნებასა შენსა ღირს

ქმნიდ ვართ, მონამე არს ჭეშმარიტება”, – ვკითხულობთ ამ კრების ძეგლის წერაში.

რამდენიმე წერი ქვეყნის შინა პოლიტიკის რეფორმას და აღმშენებლობას მოახმარა კეთილმსახურმა დავითმა, შემდგომ კი შეუდგა თურქთაგან საქართველოს სრულ განწმენდას.

თურქთა სურთანმა მუჰამედმა ასი ათასიანი რაშქარი დაძრა საქართველოსკენ. როცა მტრის შემოსვლა შეიტყო, თავად მეფე ათას ხუთასი კაცით თრიალეთისაკენ წავიდა. განთიადისას შეება ერთმანეთს უთანასწორო მხედრობა. „შეწევნითა ღმრთისაითა იძღია ბანაკი თურქთა“. თავბარდაცემური მომხდურები ისე გაიქცნენ, რომ კარვების მოხსნა და საქონლის გარეკვაც ვერ მოასწრეს. ამასობაში გიორგი ჭყონდიდემ რუსთავიც წაართვა დამპყრობლებს. 1115 წელს მტკვრის ხეობა მთლიანად შეუერთდა საქართველოს. ერთი წლის შემდეგ კი კარნიჭორსა და ბასიანს შორის დაბანაკებული თურქებიც განდევნეს.

1121 წელს დიდგორის ბრძოლის დაწყების წინ მეფემ სიტყვით მიმართა რაშქარს:

„ეჰა, მეომარნო ქრისტესნო! თუ ღვთის სჯურის დასაცავად თავდადებით ვიბრძობებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც აღვირად დავამარცხებთ, და ერთ რამეს გირჩევთ... ჩვენ ყვერამ ხერთა ცისადმი აპყრობით ძღიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ვერზე უმარ მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავადი, რომლით შევსურ ვართ, ხეთა ხშირ ხერგებით შევკრათ და მტკიცე გურით მტრებს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, სასტიკად შევუტოთ“...



გვრათი

უკან დახევაზე არც უფიქრია ვინმეს. მეფის გასაოცარმა საბრძოლო ტაქტიკამ და შემართებამ, ქართველთა სიმხნევემ და ზეციურმა სასწაულებმა მტერი შიშით გათანგა.

„ხერი მაღრისა შეენეოდა და ძარი ბეგარდმო ფარვიდა მას და წმიდა მონამე გიორგი გან-ცხადებუდად და ყოვერთა სახიდვერად წინაუძლოდა მას და მკრავითა თვისითა მოსრვიდა ბედამონვენუდა უსჯულოთა მათ წარმართთა“.

1122 წელს დავით აღმაშენებელმა თბილისი აიღო და ოთხასწრიანი ტყვეობის შემდეგ დედაქალაქი სამშობლოს დაუბრუნა. 1123 წელს დავითმა დმანისიც შემოიერთა და ამით საქართველოს გაერთიანება საბოლოოდ განასრულა.

კაცთმოყვარე მეფემ სწეურთათვის ქსენონი ააშენა, ყველა აუცილებელი ნივთი მოუმიზადა. სიუხვით და წყალობით სავსე თვითონაც ხშირად ნახურობდა ავადმყოფებს, ყოვერთვის თან დაჰქონდა ქისა მოწყარების გასაცემად. განსწავლული და მწიგნობარი მეფე თავისუფალ ღროს საღმრთო წერირისა და სხვა მეცნიერებათა წვდომას ანდომებდა. დავითს წიგნები ომშიც თან დაჰქონდა, როცა კითხვით გადაიღებოდა, სხვას აკითხებდა, თითონ კი ყურადღებით უსმენდა. ყვერაზე უფრო წმიდა წერირის კითხვა უყვარდა.

წმიდა დავით აღმაშენებელი დაკრძარეს მის მერ აგებულ და სამეფო საძვარედ დადგენილ გერათის მონასტრის შესასვდერში. საფრავის ქვაზე ამოკვეთილია კეთილმსახური მეფის უკანასკნელი სურვილი:

„ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ესე მთნავს: აქა დავემკვიდრო მე“.